

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სხდომის  
ო ქ მ ი №11

2021 წლის 6 აგვისტო, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

**სხდომის თავმჯდომარე:** საკრებულოს უხუცესი წევრი-ვახტანგ სარალიძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი-ივანე წიქარიშვილი.

მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის სამართლებრივი

უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი-ნათია დათუკიშვილი.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი.

ა/ო „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი-ეკატერინე კობახიძე.

რადიო „ჭერეთის“ კორესპონდენტი-ნატალია შუბითიძე.

მოქალაქე-ლალი ევტუშენკო.

-1-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერების თაობაზე.

/მომხს: ალ. ბაინდურაშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0)  
გადაწყვიტეს:**

დროებითი შრომისუუნარობის გამო 2021 წლის 5 აგვისტოდან, შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს - კარლო ჯამბურიას, საავადმყოფო ფურცლის მოქმედების პერიოდში(თან ერთვის).

/განკარგულება №84 თან ერთვის/

-2-

*მოისმინეს:*

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 2 კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

/მომხს: გ. მანგოშვილი/

-3-

*მოისმინეს:*

მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

/მომხს: ალ. ბაინდურაშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0)**

**გადაწყვიტეს:**

მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიის

(აგიტაციის) ჩასატარებლად განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა, დანართის შესაბამისად.

/განკარგულება №82 თან ერთვის/

**მოისმინეს:**

მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.

/მომხს: ალ. ბაინდურაშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი-0)**

**გადაწყვიტეს:**

მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით ლაგოდუხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

- ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;
- ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;
- გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;
- დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული დამის განათების ბოძებზე -სამი მეტრის სიმაღლემდე დამვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არანაკლებ ერთი მეტრის სიანხლოვისა.

/განკარგულება №81 თან ერთვის/

**მოისმინეს:**

„ლაგოდუხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდუხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 ივნისის №16-ი განკარგულების დანართი ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ. წიქარიშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -18, წინააღმდეგი-2 ევა ლომთაძე,ფირუზი გელაშვილი)**

**გადაწყვიტეს:**

შევიდეს ცვლილება „ლაგოდუხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდუხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 ივნისის №16-ი განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს ახალი დანართი N1-ის შესაბამისად.

/განკარგულება №83 თან ერთვის/

საკრებულოს უხუცესი წევრი



ვახტანგი სარალიძე